



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 158

15 აპრილი
“ --- ” ----- 2022 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.514.592 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012207512-67 (№01220944180-67; №01220973153-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.514.592
13 / აპრილი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისკომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 16 მარტს N012207512-67 (N01220944180-67; N01220973153-67) განცხადებით მიმართა შალვა ოსიპოვმა (პ/ნ 31101060151) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338). ტერიტორიის ფართობია 10 000 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

„ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N514 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

საპროექტო ტერიტორიაზე, ერთ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სამი (8, 8 და 13 სართულიანი) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და კომერციული შენობა-ნაგებობის მშენებლობა. დაცულია საცხოვრებელი ზონა 5-სთვის (სზ-5) დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.

ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

სზ-5 - 10 000 კვ.მ

კ-1 = 0,5 - 5 000 კვ.მ

კ-2 = 2,1 - 21 400 კვ.მ

კ-3 = 0,3 - 3 000 კვ.მ

1 ბლოკი - 8 სართული

2 ბლოკი - 8 სართული

3 ბლოკი - 13 სართული



„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის N01221022231 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.72.14.014.338 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის N01221012369 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012207512-67 (N01220944180-67; N01220973153-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ


მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0122096378

თარიღი: 06/04/2022

პინი: 5044

გადამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 4 აპრილის №01220944180-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.338; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: სზ-5) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები, რაც დასტურდება ინტერაქტიული რუკისა და ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით. ამასთან, №01212673629-67 განცხადებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდებოდა მწვანე ნარგავები. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: 70 ძირი (ორნაკვეთიანი გინკგო; კავკასიური აკაკი; ამბრის ხე; კავკასიური ცაცხვი; ნეკერჩხალი ქორაფი; არყის ხე; მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი; ცხენისწაბლა და კავკასიური აკაკი) ფოთლოვანი და 50 ძირი (ჰიმალაის კედარი; იტალიური ფიჭვი და კავკასიური სოჭი) წიწვოვანი მწვანე ნარგავი; ჯამში - 120 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3 000 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა №01.72.14.014.338 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, განმცხადებელმა დეტალური პროექტირების დროს უნდა წარმოადგინოს აღნიშნული დოკუმენტი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული კირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01221012369

თარიღი: 11/04/2022

პინი: 7765

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2022 წლის 7 აპრილის N 01220973153-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.


აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 24 სექტემბრის N 01212673629-67 განცხადების პასუხად, N 0121271310 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





დოკუმენტის ანოტაცია

1. კუპოლიკაცია
1 - საპროექტო მიწის ნაკვეთი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი
1. ნაკვეთისთვის ქალაქთშენებლობითი რეგლამენტები და გამონაკლისები მიიღება 14-39 ის შესაბამისად.

3. წყარო, პასუხისმგებლობის შეზღუდვა
1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია ტოპოგოლექტური მხედვა - C.V.C.3

ფოტოკური გარემო

პირობითი აღნიშვნები

უფლებრივი მონაცემები
საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
დამატებითი ქონებები
წარმოსახვითი საშუალებო მიწა
რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები

შენიშვნა
ნაკვეთის დაყოფა არ იგეგმება.
წარმოდგენილი ნაკვეთის
წარმოსახვითი დაყოფის სქემა

დამკვეთი:
შპს "პიპიტი"
ს.ნ. 405212041


საპროექტო ჯგუფი:
ლიცენზირებული
შპს არქიტექტურა
შპს არქიტექტურა
შპს არქიტექტურა
შპს არქიტექტურა

პროექტი
ს.პ. 01.72.14.014.338

პროექტი
ს.პ. 01.72.14.014.338

პროექტი
ს.პ. 01.72.14.014.338

პროექტი
ს.პ. 01.72.14.014.338



არ იგეგმება ფუნქციური ზონების ცვლილება

ლოკუმენტის ანოტაცია

1. უსპელოკაცია

1 - შპს "უბსკი" ს მიწის ნაკვეთი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

1. მეტ. რეგლამენტები მოიცავს 14-39 ის მუხლებს.
მუხლი 18, მუხლი 21, მუხლი 39.

3. წყარო. პასუხისმგებლობის მუხლად

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის სკემა ვებ გვერდიდან <http://maps.tbilisi.gov.ge>

დამკვეთი:
შპს "უბსკი"
ს.გ. 405212041



შპს ფორიბ
40544445


საპროექტო აბანო:
დირექტორი: ბ. მასალაიშვილი
შეასრულა: ლ. მთავალია
შეასრულა: მ. სამარდანიშვილი
შეასრულა: ბ. სულგანიძე

15.09.2021

პროექტის სახელი
პროექტის სახელი
პროექტის სახელი

პროექტის სახელი
პროექტის სახელი
პროექტის სახელი

პროექტის სახელი
პროექტის სახელი
პროექტის სახელი



ლოკუმენტის ანოტაცია

1. კუჭლოკაცია
1. მუ. "უბიკის" ს. მირის ნაკვეთი

2. რეკლამენტის და გამოცემის
1. ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს რაიმე სახის მუხრეფა

3. წყარო, პასუხისმგებლობის მუხრეფა
1. ნახაზის ფურცელ გამოცემულია C.V.C.3 და
მუხრეფის ზომების სტანდარტის მიხედვით
<http://maps.tbilisi.gov.ge>

დამკვეთი:
მუ. "უბიკის"
ს. 6. 405212041

საპროექტო კომპანია:
დირექტორი: ბ. მახარაშვილი
მუხრეფის: ბ. მახარაშვილი
მუხრეფის: ბ. მახარაშვილი

პრაგმატიკის სახელმწიფო კომპანია
მუხრეფის მუხრეფის მუხრეფის
თბილისი, აბრამოვის ქუჩის მუხრეფის მუხრეფის
ს. 6. 01.72.14.014.338

პროექტის აღნიშვნები
მუხრეფები
— წყაროს მუხრეფის მუხრეფის
— 10 მეტრის სიღრმის მუხრეფის
— წყაროს მუხრეფის მუხრეფის
— 10 მეტრის სიღრმის მუხრეფის
— ლანდშაფტის მუხრეფის მუხრეფის
— 10 მეტრის სიღრმის მუხრეფის


პროექტის აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორიის
საზღვრები



კომპანია
M.Z.L.S.Z.1
მასშტაბი
1:1000

ფურცელი
24
ს. 6. 405212041
ფურცელი
A2 (594x420)



ლოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია
- 1 - საცხოვრებელი სახლი
- 2 - საცხოვრებელი სახლი
- 3 - საცხოვრებელი სახლი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

3. წყარო, პასუხისმგებლობის შერეულობა
1. ნახაზის ფურცელ გამოყენებულია მიწის ნაკვეთის განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1

წარმოსახვითი მონაცემები

- ფორმული გარემო
- ნაკვეთის პირობითი დაყოფის ხაზი
- სამშენებლო მიზნის ზონები
- მოქალაქის ნაკვეთისთვის
- წარმოსახვითი სამშენებლო მიზნის ზონები განსაზღვრულ მშენებლობის

დამკვეთი:
შპს "კაბიკი"
ს.გ. 405212041

შპს ფორუბ
40544445

საპროექტო ავტორი:
დირექტორი: ა. მამალაშვილი
შეასრულა: ლ. მამალაშვილი
შეასრულა: მ. სამარაშვილი
შეასრულა: ა. სულგარაძე

პრაგმატიკონი
განმარტების რეგულაციების გეგმა
ს.გ. 01.72.14.04.338


გამართის დასახლება
მიწის ფონის მანათობლობა

კონსტრუქცია
C.Z.L.FZ.4

ფურცელი
34

მასშტაბი
1:1000

ფურცელი
A2 (594x420)

[illegible]

